„კამელინის“ კიდევ ერთი წარმატება საერთაშორისო ფარმაცევტულ ბაზარზე

დღეს მსოფლიო არჩევანს აკეთებს უსაფრთხო, ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალურ პროდუქციასა და პრეპარატებზე, მით უფრო, თუ ის ენდემურ ანუ ადგილობრივ პროდუქციაზე არის დამზადებული. სწორედ ადგილობრივი პროდუქტის — თაფლის ორიგინალური მეთოდიკის გამოყენებით შექმნა ცნობილმა ქირურგმა, ძაგული მაღლაკელიძემ პრეპარატი „კამელინი“, გასული საუკუნის 50-იან წლებში. მრავალი ექსპერიმენტის, კვლევის შედეგად პრეპარატმა „კამელინმა“ ძლიერი იმუნომოდულატორული, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული და სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები გამოავლინა. 2004 წლიდან კი მსოფლიოს მოწინავე სამეცნიერო ცენტრები ჩაერთვნენ „კამელინის“ კვლევებში, კვლავ მოხდა „კამელინის“ აღიარება. უცხოელი მეცნიერების დიდი ინტერესი გამოიწვია ავტორის დროინდელმა დოკუმენტურმა მასალამ, სადაც დამაჯერებლად არის ნაჩვენები პრეპარატის მკაფიოდ გამოხატული ქიმიოთერაპიული ეფექტი სხვადასხვა სიმსივნის შემთხვევაში. ბოლო დროს კი პრეპარატ „კამელინით“ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც დაინტერესდნენ. ბელორუსიის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და სხვა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ინიციატივითა და მხარდაჭერით, დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს პრეპარატ „კამელინის“ რეგისტრაციის პროცესი. დღეს უკვე პრეპარატ კამელინის 5 ფორმა დარეგისტრირებულია ყირგიზეთში. სახელმწიფომ იზრუნა იმაზე, რომ მათი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ეკოლოგიურად სუფთა, ნატურალური პრეპარატი „კამელინი“. გვესაუბრება ფარმაცევტული კომპანია „კამელინის“ დირექტორი, სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი ***კობა გურიელიძე.***

— ბატონო კობა, საინტერესოა, რამ განაპირობა ასეთი დიდი ინტერესი იმისა, რომ „კამელინი“ საოცრად სწრაფი ტემპით დარეგისტრირდა ყირგიზეთში?

— ერთ დღეს ოფისში გვესტუმრა ყირგიზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის, რადიოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, ქალბატონი ზარემა იზმაილოვა, რომელიც ონკოლოგ ალექსანდრე ცალუღელაშვილისგან ფლობდა ინფორმაციას პრეპარატზე და როგორც ექიმი, დაინტერესდა, უფრო საფუძვლიანად გასცნობოდა „კამელინზე“ წარმოებულ კლინიკურ კვლევებს და ფარმაკოლოგიურ ჩვენებებს, ჩვენი დახმარებით. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავაკმაყოფილეთ მისი ინტერესი. როგორც შემდგომში გაირკვა, თურმე მას თავად უმკურნალია რამდენიმე ონკოპაციენტისთვის „კამელინით“ და შედეგით გაოგნებული იყო. გამოგვიგზავნა დიაგნოსტიკური კვლევების შედეგები, „კამელინით“ მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. ქ-ნი ზარემას ინიციატივითა და მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი, რაც შეიძლება მოკლე დროში მომხდარიყო „კამელინის“ დარეგისტრირება და შეტანა ყირგიზეთის ფარმაცევტულ ბაზარზე. შევხვდით ყირგიზეთის ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებს, სხვადასხვა პროფილის ექიმებს. წამლის სადისტრიბუციო კომპანიებმაც გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი, დაიწყო პროცესი და კომპანია „კამელინმა“ რამდენიმე თვეში წარმატებით გადალახა ყველა ბარიერი, რაც საჭიროა სხვა ქვეყანაში პრეპარატის რეგისტრაციისთვის.

— ბ-ნო კობა, ბელორუსიაშიც ელოდებით ანალოგიურ პროცესს. გვესაუბრეთ ამაზეც...

— დღითი დღე იზრდება „კამელინით“ მომხმარებელთა და მადლიერ პაციენტთა რაოდენობა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ; ვიღებთ სხვადასხვა ქვეყნიდან პაციენტთა მადლობის წერილებს, ასევე, დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციებს — დიაგნოსტიკური კვლევების შედეგებს. დაახლოებით 2 წლის წინ საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ბელორუსიის სამთავრობო დელეგაცია და დროის თავისუფალ მონაკვეთში მოითხოვეს, კომპანია „კამელინის“ წარმომადგენლებთან შეხვედრა. როგორც გაირკვა, აღნიშნული ქვეყნის მოქალაქეები, ძირითადად ონკოპაციენტები, იტარებენ „კამელინით“ მკურნალობის კურსს. შედეგები გამაოგნებელი იყო არა მარტო მათთვის, არამედ მათი მკურნალი ექიმებისთვისაც. პრობლემა ის გახლდათ, რომ „კამელინით“ მკურნალობის მსურველები მუდმივად ეძებდნენ საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს, ასევე, საქართველოში მომავალ ტურისტებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ მათ პრეპარატის შეძენასა და ჩატანაში. აქედან წარმოიშვა იდეა, რომ პრეპარატის შეძენა მომხდარიყო ადგილზევე. ჩამოსულები იყვნენ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები ბელორუსიიდან, დაათვალიერეს საწარმო, იყო შენიშვნებიც, რომელიც ჩვენი მხრიდან უკვე გათვალისწინებულია და დღე-დღეზე ველოდებით „კამელინის“ დარეგისტრირებას ბელორუსიაშიც.

— გილოცავთ!

— გმადლობთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „კამელინის“ მომხმარებლები მაინც ონკოპაციენტები არიან. მისი გამოყენება რომ ხდებოდეს პროფილაქტიკური მიზნით, წელიწადში ერთხელ მაინც, თავიდან ავიცილებდით მრავალი დაავადების რისკს. პრეპარატ „კამელინის“ ავტორმა, ბატონმა ძაგული მაღლაკელიძემ პრეპარატის სამკურნალო თვისებების შესწავლის პარალელურად, მნიშვნელოვანი შრომა გასწია მისი პროფილაქტიკური გამოყენების მიზნითაც. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პრეპარატს არც ერთი კვლევისას არ გამოუვლენია უკუჩვენებები და მისი შეთავსება შესაძლებელია ყველა სამკურნალო საშუალებასთან.

მოამზადა მაია ცოფაია

„კამელინთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიღება და კონსულტაცია უფასოა, დარეკეთ:

2-98-57-78; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი);
2-45-33-68; 2-22-26-68; 2-75-04-08;
599 33 10 89; 599 58 09 07; 577 73 56 51; 599 23 03 33;

www. Camelyn.ge; **ფოსტა:** info@camelyn.ge

R